

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რამაზ თოლორდავა მიერ 2019 წელის სამუშაო ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს ს 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 30 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ვალდებული ვარ, როგორც საკრებულოს წევრი ანგარიში ჩავაბარო ამომრჩევლებს გაწეული მუშაობის შესახებ. 2017 წლის 20 ნოემბრიდან, ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. პარალელურად ვარ საკრებულოს კომისიებში სოციალურ საკითხთა და ქონების მართისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი. 2018 წლის 3 იანვრიდან ამავე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე. მე როგორც საკრებულოს ოპოზიციის ფრთის წევრი, 2017 წლის 20 ნოემბრიდან დღემდე, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს მიერ გამართულ 13 საკრებულოს სხდომიდან 7 საკრებულოს სხდომაში, გარდა ამისა ვმონაწილეობ კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში. როგორც საკრებულოს, ასევე კომისიის სხდომებზე შემაქვს წინადადებები, შენიშვნები წარმოდგენილ დოკუმენტაციებთან დაკავშირებით. ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ვხვდებით უამრავ გაჭირვებულ ადამიანს, რომლებსაც მოუხსნეს სოციალური დახმარება, არ ყოფნით საყოველთაო ჯანდაცვისთვის გამოყოფილი სახსრები, ვერ ავსებენ დამატებით გასაღებ ხარჯებს, როდესაც საგარანტიო წერილებიდან ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, როგორც საჯარო მოხელეებს ისე შემოსავლის მქონე მოქალაქეებსაც აფინანსებს .კორუფციული ნიშნები იკვეთებოდა დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში . სამუშაოები ხორციელდება სრული ტექნოლოგიური და სამუშაო პროცესების დარღვევით. რაზედაც ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს არაერთხელ ხმამაღლა გაუჟღერებიათ, მაგრამ დარჩა „ხმად მღალადებელსა უდაბნოსა შინა“. ბუნდოვანია სოფლის პროგრამების შესრულებისთვის და სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხების გადანაწილება (ბოლოს გამოყოფილ თანხებზე გამოცხადებულია ტენდერი).სოფელ მუხურში, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. სოფელ მუხურში კვლავ პრობლემაა შიდა საუბნო გზები, ნაპირსამაგრები. მე, რამაზ თოლორდავა, როგორც საკრებულოს უმცირეობის წევრი, მზად ვარ ჩვენი მოსახლეობის კეთილდროებითვის ხმა ავიმაღლო, რათა არ მოხდეს კლანების თარეში, სოციალური დახმარებები გაიცემოდეს მიზნობრივად, ინფრასტრუქტურული პროექტები იყოს სწორად შერჩეული, მოწესრიგდეს ჯანდაცვის დახმარების გაწევა და ა.შ. მზად ვარ საკრებულოში მეტად გამოვხატო მოსახლეობის ინტერესები.

პატივისცემით:

საკრებულოს წევრი რამაზ თოლორდავა

2019 წლის 31 ოქტომბერი